ცნობის ფურცელი

№ 1733 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 21 თებერვალი № 1733

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები „რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევს, მარტის 1-სა, სოფ. არბოში, წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდაცვლილ იქმნება **წლის წირვა და პანაშვიდი**

დურმიშხან შალვას ძის ყურულის

სულის მოსახსენებლად. **ქეთევან დუხრსაბის ასული ყურულისა შვილებითა და სამოურთ** აუწყებენ ამას განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა და სთხოვენ მათ მობრძანდნენ წირვაზედ, სოფ. არბოში. (2—1)

ქართული თეატრი

საუველიერო რეპერტუარი

პარასკევს, 22 თებერვალს, 1902 წ.

ორი გმირი

ისტორიული დრამა გურულების ცხოვრებიდან.

II

საღამოთი ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

შაბათს, 23 თებერვალს.

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

I

ძალა აღმართსა ხნავს

კომედია 4 მოქ. გუნიას-მიერ გადმოკეთებული სოლოვიოვიდან.

II

ანდერძით

დრამატიული სურათი 1 მოქ.

კვირას, 24 თებერვალს.

უკანასკნელი წარმოდგენა

I

ფული და ხარისხი

კომედია 3 მოქ. აზიანისა.

II

ორლეანელი და ლეკვი

ფარსი 3 მოქ. გადმოკ. დ. ერისთავის-მიერ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია**.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ვ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ნ. ვ. გოგოლის იუბილეის გამო

დღეს შესრულდა ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც რუსეთის გამოჩენილი მწერალი ნიკოლოზ გოგოლი გარდაიცვალა, და დღეს რუსეთის ყველა კუთხე იმის სახელს და სალიტერატურო მოღვაწეობას იხსენიებს.

გოგოლი პუშკინის უმცროსი თანამედროვე იყო და თავისი მოღვაწეობა რუსეთის სამხატვრო მწერლობის ასპარეზზე იმ დროს დაიწყო, როდესაც ლიტერატურიდან ფსევდო-კლასიკური მიმართულება განიდევნა და მწერალთა გულის ყური რუსეთის ცხოვრების სინამდვილემ მიიპყრო თავისაკენ. გოგოლმა პირველად შეიტანა რუსეთის მწერლობაში ის კილო, რომელსაც იუმორს უწოდებენ, და ამ იუმორით სამუდამოთ დაიჭირა ერთ-ერთი საპატიო ადგილი რუსეთის თვალსაჩინო მწერალსა შორის. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც იმისი „Старосвѣтскіе помѣщики“, „Ревизоръ“ და „Мертвыя души“ დაიწერა, მაგრამ იმათ დღესაც დიდის ხალისით კითხულობენ... მარტო ეს გარემოებაც საკმარისია გოგოლის ნიჭიერების და ცხოველმყოფელობის წარმოსადგენად. იუმორი—იშვიათი ნიჭია. „გოგოლის ერთი თანამედროვე რუსის მწერალი ამბობს, მიბაძვით უნიჭო მწერალმაც შეიძლება დასწეროს ისეთი მოთხრობა ან ლექსი, რომელშიაც აფრთოვანება, ბრწყინვალება და სიდიადე სჩანს, მაგრამ, თუ მწერალს ბუნებითი ნიჭი არა აქვს, თავის ნაწერებში იუმორი კილოს ვერასოდეს ვერ შეიტანსო. იუმორის ისეთი ნიჭია, რომელიც თავის-თავად სჩანს; ის შეუმჩნეველი ვერ დარჩება. გოგოლმა თავის მწერლობა დაიწყო მოკლე, იუმორით შეზავებულის ესკიზებით მალოროსიის ცხოვრებიდან და მაშინვე მიიქცია თავისკენ მკითხველის საზოგადოების და კრიტიკის ყურადღება. ვიდრე გოგოლის იუმორი გულუბრყვილო იყო, ვიდრე იმისი კალამი მხოლოდ მივიწყებულ პროვინციებში მცხოვრებთ ახასიათებდა და რუსეთის მაშინდელს საუკეთესო წრეებს არ ეხებოდა, გოგოლის ნიჭს და იმის ნაწერების ღირსებას ყველა ერთგულად შეჰხაროდა. სხვათა შორის, რუსეთის ცნობილმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ თავის წერილებში აღნიშნა გოგოლის ძლიერი ნიჭი და დიდი მომავალი აღუთქვა ახალგაზდა მწერალს.

„გოგოლმა დამარწმუნა, ამბობს ბელინსკი, რომ იუმორი მარტო ინგლისელების და გერმანელების საკუთრება არ არისო“. შევირიოვმა, რომელიც გოგოლის დროს კრიტიკულს წერილებს სწერდა, ერთხანად ისატრა, ნეტავი გოგოლი თავის იუმორისტიულის კალმით იმ წრეს, იმ საზოგადოებას ასწერდეს, რომელსაც ჩვენ თითონ შევადგენთ, რომელიც ჩვენზე გაცილებით უფრო ახლოა, ვიდრე მალოროსსების „პომეშჩიკებიო“.



ნ. ვ. გოგოლი

შევირიოვს დიდის ხნის ლოდინი არ მოუნდა, გოგოლმა მალე გამოაქვეყნა თავისი „რევიზორი“ და „Мертвыя души“. რევიზორში რუსეთის მაშინდელი სახელმწიფო მოხელენი ჰმოქმედებენ და „Мертвыя души“ ხომ ტიპების ნამდვილს გალლერეიას წარმოადგენს. როდესაც გოგოლის მსახრავი სატირა იმ საზოგადოებას შეეხო, რომელიც იმ დროს რუსეთის საუკეთესო წოდებას და წრეს წარმოადგენდა, მაშინ უეცრივ შესცვალეს კრიტიკოსებმა თავისი აზრი გოგოლის შესახებ. ეხლა ისინი, მართალია, ნიჭის უარყოფას ვერ ჰბედავდნენ, მაგრამ სწუხდნენ, რომ ეს ნიჭი ცილის-წამების გზაზე დადგაო; თითქოს რუსეთის საზოგადოების დასაცველად და გასამართლებლად, მაშინდელი ჟურნალისტები ერთხმად გაიძახოდნენ, გოგოლი სიცრუესა სწერს, ისეთი პირები, როგორიც იმან „Ревизоръ“-სა და „Мертвыя души“-ში დაასურათა, მთელს რუსეთში არსად არ მოიძებნებიანო.

იუმორის გარდა, რომელიც გოგოლის ნიჭიერების ჭეშმარიტი გვირგვინია, აღვნიშნავთ კიდევ, რომ გოგოლი ჭეშმარიტი პოეტი და ლირიკი იყო. ძველის ძველად არის დარჩენილი თქმულება, ულირიზმოდ წერა შეუძლებელიაო. ეს აზრი მართალია, მაგრამ ლირიზმი ყველა მწერლისა ერთის სიმაღლისა და ძლიერებისა არ არის. გოგოლის გრძნობით სავსე და სამშობლოს უზომო სიყვარულით მოცული გული ხშირად ამ მწერალს სრულიად ავიწყებინებს იუმორს, დაცინვას და მაშინ იმისი კალამი ისეთს მაღალს, ამაფრთოვანებელს გრძნობებს გადმოგვცემს, რომ მკითხველს სრულიად ავიწყდება გოგოლის ნიჭის ყოველივე მხარე, გარდა ლირიზმისა. გოგოლი მალოროსიელი იყო და მალოროსების სიყვარული დნეპრისა და სამხრეთის მინდვრებისადმი ისეთის პოეტურის მშვენიერებით გამოჰხატა, რომ დღემდე ეს ადგილები მისის ნაწერებისა სანიმუშოდ ითვლება რუსეთის ლიტერატურაში.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, როდესაც გოგოლზე ვლაპარაკობთ, ცხოვრების დაკვირვების შნო და უნარი. ცხოვრება უძირო და უმდიდარი ზღვაა; ის მუდამ სავსეა ახალის ხასიათებით, ახალის ტიპებით და ახალის მდგომარეობით. დაკვირვების ნიჭი—უსაჭიროესი და აუცილებელი პირობაა სამხატვრო მწერლობისა. მწერალი თავის აზრს სურათებით გვიზიარებს, მაგრამ თუ ეს სურათები მკრთალია და ულაზათო, მაშინ თვით აზრიც ჩვენს სიმპატიას ვერ დაიმსახურებს. შემოქმედებითის ნიჭის საიდუმლოება სწორედ ის არის, რომ სურათების შემწეობით აზრს აცხოველებს და გრძნობას აფაქიზებს. ამ მხრივ გოგოლს რუსეთის მწერლობაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არც ერთს მწერალს არ ჰქონია გოგოლამდე შენიშნული რუსეთის ცხოვრებაში ის, რაც იმან შენიშნა და ასწერა თავის თხზულებებში. მაშინდელის რუსეთის ცხოვრების უფერულობა და უბადრუკობა —ყველა გონიერის მოთვალყურისათვის ცხადი იყო; არავისთვის დაფარული არ იყო, რომ სატახტო ქალაქებს გარეშე რუსეთის აზრი გაყინული იყო და გრძნობა გაფუტუროვებული, მაგრამ პირველად გოგოლმა დაანახვა ქვეყანას ეს გრძნობისა და აზრის უქონლობა. ცოცხალი ადამიანი რამდენადმე უთუოდ აზროვნობს და ჰგრძნობს, საქმე მხოლოდ ის არის, რაზედ და რას? გოგოლმა თამამად გადაშალა რუსეთის მაშინდელ ფართო საზოგადოების გული და აზრების დავთარი და თამამად ამოიკითხა იქ გულის დამღონებელი, ძნელი დასაჯერებელი გათახსირება. გოგოლს მთელის თავისის არსებით უყვარდა რუსეთი და იმისი მომავალი და ამიტომ მოჰყვა თვალ-ცრემლიანად იმის ზნე-ჩვეულების აღწერას. როგორც წინადავსთქვით, გოგოლს თანამედროვეები გადაუდგნენ, ცილის-წამება დააბრალეს, მაგრამ იქნება მაშინ არავის არა სტკიოდა იმდენად გული რუსეთისათვის, რამდენადაც გოგოლს.

ერთხანად გოგოლმა სამეცნიერო წერილების წერას მიჰყო ხელი, მაგრამ თვალ-საჩინო არაფერი დაუწერია. რამდენიმე ხანი ისტორიის ლექციებსაც ჰკითხულობდა, მაგრამ ამ მხრივაც სუსტი აღმოჩნდა. საერთოდ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ გოგოლს აზრის სიღრმე აკლდა, სამეცნიერო ცოდნაც ნაკლებად ჰქონდა. იმის სალიტერატურო მოღვაწეობის დროს, რუსეთში გამეფებული იყო ბატონ-ყმური წესი ურთიერთობისა. მაშინ რუსეთის ცხოვრების დამაქვეითებელი მიზეზი ყოვლის უწინარეს ის გარემოება იყო, მილიონობით ალსარიცხავი გლეხ-კაცობა მონობის მძიმე ტვირთს ატარებდა. გლეხი მონა იყო, მიწის მფლობელი—ბატონი, და ორთავეს აზრი და გრძნობა კი—შებოჭილი და შეზღუდული. გოგოლი 1852 წელს გარდაიცვალა ე. ი. 9 წლით ადრე გლეხთა განთავისუფლებამდე, მაგრამ იმან ისე განვლო თავის ცხოვრების გზა, რომ ერთხელაც არსად არ გაუხსენებია მონობის მნიშვნელობა. გოგოლი ამაოდ სცდილობდა თანამედროვე ცხოვრების ნასკვი ეპოვნა და იმისდა-მიხედვით გამოერკვია სამშობლოს მოტრფიალე ადამიანისათვის მოქმედების პროგრამმა; იმისთვის სამუდამოდ შეუმჩნეველი დარჩა ბატონ-ყმობა; მონობისა და თავისუფლების სოციალურს პრობლემას სრულიად გვერდი აუქცია და სარწმუნოებრივს მისტიციზმს მიჰყო ხელი. ცხოვრების „სიბილწის“ მიზეზი რომ ვერსად იპოვნა, გოგოლმა ეს „სიბილწე“ აუცილებლად, განგებისაგან დადგენილად აღიარა... ადამიანი —არარაობაა

და ეს არარაობა ცხოვრების სიბილწეში გამოიხატებაო. ამ სიბილწეს, გოგოლის აზრით, ადამიანი სარწმუნოების საშუალებით უნდა შეურიგდეს; სარწმუნოებამ უნდა შეაჩვიოს ადამიანი კმაყოფილებას, უნდა შეაჩვიოს იმ აზრს, რომ ადამიანი უძლურია და თავისით ვერაფრის გაკეთებას ვერ მოახერხებს... ეს სარწმუნოებრივი მისტიციზმი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა იმ განწყობილებას, რომელმაც გოგოლს „Ревизоръ“ და „Мертвыя души“ დააწერინა. იქ გოგოლი მწარე სატირის შინაარსად ჰხდიდა იმას, რის წინაშე ეხლა მზად არის გულ-ხელ დაკრეფილი იდგეს უმოქმედოდ და სარწმუნოებრივის გრძნობით. გოგოლის ცხოვრების ამ უკანასკნელს პერიოდს ეკუთვნის იმისი „Переписка“, რომელშიაც, სხვათა შორის, უარჰყოფს თავის წინანდელს ნაწერებს.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ გოგოლმა გავლენა იქონია ქართულს მწერლობაზედაც. გოგოლის „Старосвѣтскіе помѣщики“ და ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ საგრძნობლად ჰგვანან ერთმანეთს. თუ ათანასე ივანეს ძე და პულხერია ივანოვნა მალოროსიის ფილემან და ბავკიდა არიან, როგორც გოგოლი ამბობს, ლუარსაბი და დარეჯანი იმავე როლს თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში. მიუხედავად ამ მგზავსებისა „კაცია-ადამიანი?!“. ბევრად უფრო ღრმა ნაწარმოებია და ბევრად უფრო ღრმად უყურებს ცხოვრებას, ვიდრე გოგოლის „Старосвѣтскіе помѣщики“. **ფანგი.**

საზღვარ-გარედ

ავსტრ-უნგრეთი. დიდი იმედები ჰქონდათ ავსტრიაში ეხლანდელ მთავარ-მინისტრის დიპლომატიურ ნიჭისა, ეგონათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასწაულის მოხდენა არც დიდ დიპლომატიურ ნიჭს შესძლებია. ავსტრიის პარლამენტი მხოლოდ მაშინ შეიქმნება სახელმწიფოს მმართველი, როცა ეროვნული კითხვა იქმნება გადაწყვეტილი, მანამდე, კერბერი კი არა, გენიოსი დიპლომატიც ვერას გააწყობს, შეურიგებელს ვერ შეარიგებს და, მაშასადამე, ავსტრიის პარლამენტიც მკვდარი დაწესებულება იქმნება.

თუ ვისმე კიდევ ჰქონდა ილიუზია, რომ ავსტრიის პარლამენტში საქმე მორიგებით გათავდებოდა, მლადოჩეხ დეპუტატის გრეგრის სიტყვა გაუქარწყლებდა მას ამ ილიუზიას. „ჩვენ, ჩეხები, ყველა წინააღმდეგნი ვართ საბიუჯეტო კომისიის მოხსენების მიღებისა, რადგანაც სრულებით არ ვენდობით ეხლანდელ მთავრობასაო. ჩვენ, ჩეხები ვთხოულობთ იმას, რაც გვეკუთვნის და ყურადღებასაც არ ვაქცევთ იმას, ვის როგორ მოეწონება ეს ჩვენი მოთხოვნა. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცადოთ, სანამ „მიუდგომლობის მანტიაში“ გახვეული მთავრობა მოისურვებს ჩვენ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, და უსარგებლოა ველოდოთ, რომ ჩვენი მოცილე ერები შეიგნებენ და აღიარებენ ჩეხების უფლებას ჩეხურ ენაზე ან მეორე ჩეხურ უნივერსიტეტის გახსნაზე... თუ პირველ მინისტრს იმედი აქვს ეხლანდელ პარლამენტისა, რომელიც გერმანელ პარტიების მიზეზით ისე დაბლა დაეცა, რომ ქვეყნის სასაცილო და სახელმწიფოს შემარცხვენელი გახდა, ეს იმედი მეტად სუსტ ნიადაგზეა დამყარებული. პირველი მინისტრი ვერ მიაღწევს თვის მიზანს მისგან გამოგონილ საშუალების წყალობითაც—დიად, ეკონომიურ პროექტების წამოყენებით. ჩეხიის ერი არ გაჰყიდის თვის უფლებებს, რაც უნდა მატერიალური სასყიდელი შეაძლიონ...

ოსმალეთი. გაზეთის მკითხველს ეცოდინება, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ ხალხებ შორის ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე სცხოვრობენ ალბანელები. სხვა პატარა ერების ბედისა არ იყოს, ალბანელების გულის მოგებას ბევრი მეზობელი სახელმწიფო სცდილობს, განსაკუთრებით ავსტრია, იტალია და საბერძნეთი. ყველა სცდილობს დაუმტკიცოს ალბანელს, რომ იგი მხოლოდ მასთან იქნება ბედნიერი და სხვებთან კი უბედური. თავიანთ აზრების გასავრცელებლად ეს სახელმწიფოები აარსებენ სკოლებს, ნიშნავენ სხვა-და-სხვა პუნქტებზე კონსულებსა და საიდუმლო პოლიტიკურ აგენტებსაც. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ძალად მაცხონე კეთილის მყოფელნი თავის მიზანს ვერ მიაღწევენ, რადგან თვით ალბანელებში იღვიძებს შეგნებული გრძნობა. საუკეთესო გამომთქმელი ამ გრძნობისა თავადი იოანე დ' ალადრო კასტრიოტოა. ეს თავადი პირდაპირი ჩამომავალია ალბანელ განთქმულ გმირის სკანდერბეგისა და ამიტომ დიდი გავლენაც აქვს ალბანელებ შორის. ეხლა-ხან თავ. იოანე კასტრიოტას გამოუქვეყნებია პროკლამაცია, რომელიც ერთობ თურმე ვრცელდება ალბანიაში. პროკლამაცია ისეთი არ არის, როგორც ხშირად გამოდის ხოლმე ამ ქვეყანაში—თავადი არ თხოულობს იარაღის ხელის მოკიდებას და აჯანყებას; არა, პროკლამაცია თხოულობს ყველა ალბანელების ერთობას მტრის წინაშე, მაგრამ არა აჯანყების დროშის ქვეშ, არამედ კულტურულ შრომაში. კასტრიოტო იწვევს თანამემამულეთ სარწმუნოების განურჩევლად (ქრისტიანები და მაჰმადიანები), გაიხსენონ დიდებული წარსული და შეუდგნენ ხალხის განათლებისა და განვითარების შრომას. „ალბანიას ლიტერატურაც აქვს და განათლებაც, ამის დამამტკიცებელი საბუთი ის გაზეთები და ბროშურებია, რომელიც გამოდის ალბანურ ენაზე რომში, ბრიუსელში, სოფიაში და ბუხარესტში. ალბანელებმა უთუოდ უნდა დაიარსონ საკუთარი სკოლები, რომ შესაძლებელი გახდეს ბრძოლა უცხოელების პროპაგანდასთან, რომელიც მტერია ალბანიის გაერთიანებისა. ყველგან, ჩვენ ქვეყანაში აარსებენ სკოლებს იტალიელები, ავსტრიელები, ოსმალები და ბერძნები, და ამ ძლიერის საშუალებით სარგებლობენ ჩვენი მტრები ჩვენსავე წინააღმდეგ თავიანთ ეგოისტურ მიზნის განსახორციელებლად. აუცილებლად საჭიროა, დაეხმაროს ყოველი ალბანელი ეროვნულ ალბანურ განმანათლებელ კომიტეტებს ქ. ელბოსანში და სხვაგან“. დასასრულ თავადის პროკლამაცია აქცევს ალბანელ მამულის-შვილების ყურადღებას იმ გარემოებასაც, რომ მაკედონიის დიდი ნაწილი ალბანელებისაა და საჭიროა კომიტეტების მოღვაწეობა მაკედონიასაც შეეხოს.

ამ გვარად ოსმალეთის ალბანიაში, ქვეყანაში, რომელიც ველურ და სისხლის მოყვარე ხალხით დასახლებული გეგონა, ფეხი მოუკიდია ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას, გაჩენილა სხვა-და-სხვა ქალაქებში კომიტეტები, რომელნიც ალბანურ, ეროვნულ სკოლებს აარსებენ ალბანელ მოზარდ თაობის ალბანურ ენაზე აღსაზრდელათ. ოსმალეთის მთავრობა, როგორც რუსული გაზეთები იწერებიან, სრულებით არ არის წინააღმდეგი კომიტეტების ამ მოქმედებისა, მისის წარმოდგენით, ამ გვარი მოქმედება სრული ლოიალური არის.

სამხრეთ-აფრიკა. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება 14 თებერვალს: „სამხრეთ-დასავლეთ ტრანსვაალში დელარეი თავს დაესხა ინგლისის ფურგუნებს და საშინლად დაამარცხა ორი ბატალიონი, რომელიც ამ ფურგუნებს იცავდა. კიტჩენერი იტყობინება, რომ ფურგონები ბურებს ჩაუვარდა ხელში და ბატალიონები და ზარბაზნები დაიკარგნენ. კერძო ცნობების მიხედვით, რაზმი დანებდა ბურებს. ეს დამარცხება უსაშინელესია ლედი-სმიტის ბრძოლის შემდეგ. ინგლისელები იმით ინუგეშებენ თავს, რომ დატყვევებულ ინგლისელებს ბურები გაანთავისუფლებენ და ამათ ისევ შეეძლებათ იბრძოლონ ბურების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ყოველ დატყვევებულ ბურს აფრიკიდან ჰგზავნიან“.

✿ დევეტის მაგალითით გულ-მიცემულ და გამხნევებულ ბურებს განზრახვა აქვთ გაჰყვნენ მას ტრანსვაალის სამხრეთ ნაწილში. სამასმა ბურმა მიჰბაძა დევეტს, წინ გაირეკა საქონლის ჯოგი, გასწყვიტა მავთულების ღობე, რომელიც ინგლისელების ბლოკჰაუზებს აერთებს, და შენებით წინ ჩაუქროლა ინგლისის ჯარს. ინგლისელებს ხელში დარჩათ მხოლოდ ასი დაჭრილი ცხენი და ხარი. როგორც ამბობენ, დევეტი ეხლა ორანჟის რესპუბლიკის აღმოსავლეთით უნდა იყოს. მისი ჯარი ეხლა პატარ-პატარა რაზმებად არის დაყოფილი.

✿ ინგლისის სამხედრო სამინისტრო ახალ-ახალ ჯარებს გზავნის აფრიკაში. ეხლა-ხან გაუგზავნიათ 2000 ჯარის კაცი და 800 ცხენი.

✿ როგორც თანდათან ირკვევა, ვესელსისა და ვოლმარანსის ამერიკაში წასვლას მიზნად ის ჰქონია, რომ ხელი შეუშალონ ინგლისელებს ამერიკაში ცხენების და სურსათის ყიდვაში სამხრეთ-აფრიკაში მყოფ ჯარისათვის. თუ ბურების დელეგატები მიზანს მიაღწევენ, ინგლისის ჯარი მეტად დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან ქვეითა ჯარი სრულებით ვერაფერს გააწყობს ბურების წინააღმდეგ და უამერიკოთ კი ცხენების შოვნა თითქმის შეუძლებელია.

საფრანგეთი. 11 თებერვალს დეპუტატების პალატამ თითქმის ერთ-ხმად მოიწონა პრინციპიალურად სამხედრო ბეგარის ვადის შემცირება (2 წელიწადი სამის მაგიერ) და გარდა ამისა 399 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 87-ისა სურვილი გამოაცხადა, რომ მოისპოს ყოველგვარი პრივილიგია და შეღავათი ბეგარის მოხდის დროს. მთავრობის მხრივ ლაპარაკობდა ვალდეკ-რუსო, რომელიც მომხრეა ორის წლის სამსახურის შემოღებისა, მაგრამ თან იმ აზრის არის, რომ ამ რეფორმის შემოღებამდე საჭიროა ისეთ ღონისძიებათა მიღება, რომ ჯარის რაოდენობა არ შემცირდეს.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 20 თებერვალს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი რუსეთის შესანიშნავ მწერლის **ვ. ნ. გოგოლის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი, ტფილისის ვაჟთა პირველ, მეორე და მესამე გიმნაზიებისა, დედათა ყველა გიმნაზიებისა, ტფილისის რეალურ სასწავლებლისა, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სხვა ტფილისის საშუალო სასწავლებლების უფროსები, მასწავლებელ-აღმზრდელნი და მოსწავლენი. პანაშვიდის დაწყებამდე ერთმა სასულიერო პირმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლით დაახასიათა გოგოლი, როგორც მწერალი, და აღნიშნა მისი მნიშვნელობა მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში.

დღეს ტფილისის ყველი სასწავლებლები ჰმართავენ სალიტერატურო დილებს გოგოლის ხსენებისათვის.

◆ 19 თებერვალს ტფილისის კომერციულს სასწავლებელში **გადაიხადეს პანაშვიდი** გოგოლის სულის მოსახსენებლად მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანადასწრებით. 22 თებერვალს ამ სასწავლებელში გაიმართება სალიტერატურო დილა.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს სარწმუნო წყაროებიდან შეუტყვია, რომ თავ. ზ. გ. ერისთავს განუზრახავს კასპში თავისი მამული შესწიროს **ქალთა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის** დასაარსებლად.

◆ ავსტრ-უნგრეთის კონსული ტფილისში ატყობინებს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ წელს 16, 17 და 18 მარტს, უნგრეთის ქალაქ პეშტში გაიმართება **მეღვინეობის გამოფენა**.

თუმცა გამოფენამდის ცოტა დრო დარჩა, მაგრამ მაინც შეუძლიანთ ჩვენებურ მეღვინეებს, თუ მოინდომეს, მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულს გამოფენაში.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა წარუდგინა გუბერნატორს პროექტი და შუამდგომლობა, რომ მოუმატონ პოლიციის **მოხელეთა რიცხვს** და ამასთანავე დაწესდეს სათადარიგო პოლიციის მოხელეთა რაზმი. ამ პროექტით პოლიცმეისტერი თხოულობს უბნის ზედა მხედველების მომატებას და აგრეთვე დაბალ მოხელეებისას.

◆ პოლიციის ცნობებით, ტფილისში ამ ჟამად 2118 მეეზოვეა.

◆ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, განიხილა რა კერძო კომისიისაგან წარდგენილი მოხსენება **მორტირებით** სეტყვასთან ბრძოლის შესახებ, დაადგინა, ეს მოხსენება წარუდგინოს საზოგადოების საერთო კრებას და კომისიას მადლობა გამოუცხადოს შრომისათვის.

◆ კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზედ** დღეს, 21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია არჩევანი საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს წევრებისა და საზოგადოე-

ფელეტონი

უბრალო საუბარი მეცნიერულ საგნებზე

III

დედა-მიწის ზედაპირი იცვლებოდა და დღესაც იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება ისე ნელა ხდება, რომ ჩვენ მიერ შეუმჩნეველი რჩება. გეოლოგია, ან ის მეცნიერება, რომელიც სწავლობს და იკვლევს ამ ცვლილებას, დედა-მიწის ისტორიას რამოდენიმე ერებათ ჰყოფს, თითოეულს ერას კი რამოდენიმე პერიოდებათ. ამ დაყოფის დროს ეს მეცნიერება ხელმძღვანელობდა გეოლოგიური ფენებით, ანუ კეცებით, რომელნიც კიბის საფეხურებივით არიან დაწყობილნი დედა-მიწის შიგნით. უძველესი ერა ეს არქეის ერაა; ამის შემდეგ პალეოზოის, მეზოზოის და ბოლოს ახალი ანუ კაინოზოისა [9].

იმ ცოცხალმა არსებამ, რომელიც ერთხელ უსიცოცხლოდან წარმოსდგა, იმდენი ცვლილება განიცადა თავისი არსებობის მანძილზე, რომ მისგან საოცარი რთული ორგანიზმები განვითარდნენ. თუ რა ცვლილება განიცადა ამ ცოცხალმა არსებამ, თუ როგორ ამზადებდა ეს სადა ორგანიზმი ნიადაგს რთული ორგანიზმის წარმოსაშობად, ანუ, მოკლეთ რომ ვსთქვათ,—თუ როგორ თანდათან ვითარდებოდა ის დედა-მიწაზე, ამის შესახებ უტყუარ ცნობებს გეოლოგიური ფენები გვაწვდის. სიცოცხლის პირველი ფორმა მეცნიერმა დაუსონმა არქეის ერაში აღმოაჩინა და შესაფერის სახელითაც მონათლა ის: მან ეოზოონი [10] (Eozoon) უწოდა ამ არსებას. ისეთი სადა გამოდგა ეს არსება, რომ დიდი ცილობა და კამათი გამოიწვია მეცნიერთა შორის. ბევრი (მათ შორის მეცნიერი კინგიც) იმ აზრისა იყო, ვითომც ეოზოონი უბრალო მინერალური ნივთიერება ყოფილიყოს. მაგრამ, როცა მეცნიერმა კაიემ და ბევრმა სხვებმაც არქეის ხანაში ბლომათ აღმოაჩინეს ამნაირი სადა ორგანიზმები, მაშინ დაუსონის აზრის სინამდვილეში ყველანი დარწმუნდნენ [11].

გადიან მილიონი წლები და პირველდამწყე ორგანიზმებიდან ვითარდებიან ისეთი ჩვილ-ხორციანი ორგანიზმები (ampioxus Lanceotatus), რომელთაც არც ხერხემალი აქვთ, არც ძვალი. ამ ორგანიზმებიდან შემდეგ თევზები ვითარდებიან. თევზები მაშინდელი დედა-მიწის მკვიდრთ შორის ცხოვრების უმაღლესი ტიპები იყვნენ. ხმელეთის ცხოველები ჯერ არც-კი გაჩენილიყვნენ. ანკი როგორ გაჩნდებოდნენ, როცა ამ დროს ხმელეთი არ არსებობდა, რადგანაც დედამიწა ერთიანად წყლით იყო დაფარული; რამოდენიმე ხნის შემდეგ დედა-მიწაზე თავი ამოჰყვეს წყლებიდან პატარა კუნძულებმა. ამ გარემოებას კი შესაფერი ცვლილება მოჰყვა ორგანიზმების ცხოვრებაშიაც. ამ კუნძულებზე თევზებმა ხშირად დაიწყეს სტუმრობა, წყლიდან პოტინი და მით ნელნელა ხმელეთზე ცხოვრებას შეეჩვიენ. აი, ამ ხანაში წარმოშობილნი არიან წყალ-ხმელეთისანი (Земноводныя), რომელნიც ერთნაირად ცხოვრობენ როგორც წყალში, აგრეთვე ხმელეთზე. წყალ-ხმელეთისანთ თან მოჰყვათ ქვეწარმავალი. წყალ-ხმელეთის ცხოველი შემაერთებელი რგოლია თევზებსა და ქვეწარმავალთ შორის. ეს რომ ასეა ნამდვილათ, ამას დიდი მტკიცება არ უნდა, მგონია. რომელ წყალ-ხმელეთის ცხოველი გინდათ აიღოთ, რომ მაში თავი არ მოეყაროს როგორც თევზის, აგრეთვე ქვეწარმავალის ნიშან-თვისებებს?!. ქვეწარმავალთ შემდეგ ფრინველები ჩნდებიან. თუ როგორ თან-და-თან ვითარდებოდა ფრინველი ქვეწარმავალიდან, ამაზე არხეოპტერიკსი მოწმობს, ეს საინტერესო ნაშთი, რომელიც გარდამავალ ფორმას წარმოადგენს ქვეწარმავალიდან ფრინველებისკენ. ერთი შეხედვით ეს არსება ფრინველი ეგონება კაცს, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ქვეწარმავალის ნიშნებსაც ბევრს გავარჩევთ მასში. ქვეწარმავალსა და ფრინველთ თან მოჰყვათ სხვა-და-სხვა ძუძუმწოველი ბალნიან-ბანჯგლიანი ცხოველები, რომელთაც სრული უფლება აქვთ ამპარტავნულათ გადმოგვძახონ: „ჩვენ ვართ თქვენი წინაპარნი, თქვენი მშობელნი, უჩვენოთ ხომ თქვენი ხსენებაც არ იქნებოდა ქვეყანაზედ“-ო. ქვეწარმავალთა და ძუძუ მწოველ ცხოველების გაჩენა დედა-მიწის ისტორიის მესამე ხანას (მეზოზოისას) ეკუთვნიან. ამ ხანის როგორც ცხოველები, აგრეთვე მცენარენიც გასაოცარი სისხოით განირჩევიან. ამის მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ იმ დროს დედა-მიწას საკუთარი სითბოც შედარებით ეხლანდელთან მეტი ჰქონდა და მზეც მეტს სითბო-სინათლეს იძლეოდა. ასე თუ ისე მაშინდელი ცხოველები სწორეთ ზღაპრულ დრაკონებსა და ბაყბაყ მდევებს მოგვაგონებენ თავიანთი სიდიდით: „ეს

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1732

[9] იხ. Профес. Пуше: „жизнь земли“ თავი 1.

[10] Eozoon ნიშნავს სიცოცხლის განთიადს.

[11] იხ. Гетчисома: „Автобіографія земли“, გვ. 27—9.

ბის ამ წარმომადგენლებისა, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საფილოქსერო კომიტეტში; საზოგადო კრებაზედ განხილულ იქნება აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა საზოგადოებისა, ტფილისის საბაღოსნო სკოლისა, საზოგადოების ბიუროსი და საზოგადოების გაზეთისა. კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ 19 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზედ, განხილულ იქნა **გუბერნატორის წინადადება**, რომ გამგეობა ეხლავ შეუდგეს საბჭოს სავალდებულო გარდაწყვეტილების განხორციელებას საქონლის გასასყიდ ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ. გამგეობამ მოისმინა სასანიტარო ინსპექტორის განმარტებანი და ამ საქმის შესახები ყველა მოსაზრებანა და დაადგინა: ეხლავე დაურიგდეს ქალაქის ყასპებს ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ დაბეჭდილი სავალდებულო დადგენილებანი; ამ დადგენილებათა 50 ცალი გაეგზავნოს ტფილისის პოლიცმეისტერს ქალაქის ყველა პოლიციის ნაწილებში დასარიგებლად და ამასთანავე ეცნობოს ეს საქმე ტფილისის კამენდანტს; გადადებულ იქმნეს ტფილისის სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორისა და აგრეთვე სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველის განკარგულებაში 350 მ., რათა ამ ფულით ერთი თვის განმავლობაში სავეტერინარო და სავაჭრო პოლიციის აგენტების თვალ-ყურის გდება იქნას გაძლიერებული, რომ სავალდებულო დადგენილება წესიერად სრულდებოდეს.

◆ სავაჭრო სამეურნეო უფროსმა ზედამხედველმა ალიხანოვმა აღძრა კითხვა ქალაქის საბჭოში, რომ, ვიდრე ქალაქის თვითმართველობა ნებას მიიღებდეს უმაღლეს მთავრობისაგან 50 ათასი მანეთის სესხის შესახებ ქალაქის ხორცის დუქნების ასაშენებლად, ეხლავე **გაიმართოს** ერთი ქალაქის ხორცის დუქანი ხორცით ვაჭრობის საცდელად. ამ დუქნის დაარსებით, ბ. ალიხანოვის აზრით, გამოირკვევა ნამდვილი ფასი ხორცისა, რაც ძალიან ხელს შეუწყობს ქალაქის ხორცის დუქნების სწორე ვაჭრობას.

◆ ტფ. არტისტიულ საზოგადოებამ დააწესა გადასახადი თითოეულ ბილეთზე, რომელიც მის თეატრში ისყიდება, **სახალხო სცენის სასარგებლოდ**. „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, შარშან ამ გადასახადისა შემოსულა 458 მან. და 75 კ., რომელიც გადაეცა ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებას.

◆ 19 თებერვალს ვერის ხიდის თავდაღმართზე ნახეს ალექსანდრეს ინსტიტუტის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის **მაშიკინის** გვამი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიღო პოლიციამ.

◆ „ჩერნომ. ვესტნიკის“ სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას სთხოვენ ნებას ონში **რაჭის მემამულეთა კრების** მოხდენის შესახებ; კრებამ უნდა მოილაპარაკოს სეტყვასთან ბრძოლის შესახებ.

◆ ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია ნების დასართველად **ტფილისის ფუნიკულერის საზოგადოების წესდების პროექტი**; ფუნიკულერის გაკეთებას მთაწმინდაზე შეუდგა ტფილისში ცნობილი ინჟენერი რობი. ძირითადი თანხა საზოგადოებისა აღრიცხულია 300,000 მან., რომელიც იყოფა 1,200 აქციად, თითო 250 მან., ეს აქციები განაწილდება რობის და იმისაგან მოწვეულ პირთა შორის ურთიერთის შეთანხმებით. თანახმად წესდების პროექტისა, საზოგადოებას გადაეცემა 8 მკათათვეს 1900 წელს დადგენილი ხელშეკრულობა ინჟენერ რობის და ქალაქის გამგეობის შორის ფუნიკულერის გაკეთებაზე. აგრეთვე ნება ეძლევა საზოგადოებას, სათანადო მთავრობის ნებართვით, ფუნიკულერის უკანასკნელ სადგურიდან კოჯრამდის გაიყვანოს და აწარმოვოს ტრამვაი.

◆ რედუტ-კალეს მცხოვრებთა შუამდგომლობით, ეს ქალაქი მიეწერა ფოთის მომრიგებელ მოსამართლის განყოფილებას ნაცვლად ზუგდიდისა.

◆ ტფილისის სახაზინო პალატამ დაავალა პოლიციის მოხელეთ სახლებს მდგმურებს ჩააბარონ უწყება ბინის **სახელმწიფო გარდასახადის** შესახებ ამ მიმავალს წელში, რომ, ვინიცობაა, უკმაყოფილოდ დარჩნენ მდგმურები ხარჯის შეწერით, შეეძლოთ იმათ განასაჩივრონ საქმე საგუბერნიო სადგომების გარდასახადის საკრებულოში.

◆ ტფ. სასანიტარო ინსპექციის ანგარიშით, იანვრის თვის განმავლობაში ტფილისში ყოფილა 109 კაცი სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით ავადმყოფთ**; აქედან: ქუნთრუშით 24 კაცი, ხუნაგით—18, წითელათი 38, ყივანა ხველითა და ციმბირის ჭირით თითო კაცი, საოფლეთი 15, ყვავილით 7, წითელი ქარით 3 და სხვ. 109 კაციდან 71-ს სახლში უაქიმებია, ხოლო 38 ქალაქის საავადმყოფოებში.

◆ 9 თებერვალს ქალაქის ბეითლებმა **შეიპყრეს** 20 სული საქონელი, რომელიც ტფილისში მორეკეს გასასყიდად, რადგანაც საქონლის მორეკა შარა გზებით (არა რკინის გზით) აღკრძალულია მთავრობისგან.

◆ ამ დღეებში ვინმე გ-მა საჩივარი შეიტანა ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან ხელოსანთა მოურავზე, სერობიანცზე; გ-ი ბრალად სდებს სერობიანცს,—ცილი დამწამა და შეურაცხება მომაყენაო. საქმე, როგორც გადმოგვცეს, ასე ყოფილა: ეს ერთი თვე იქნება, ქალაქის ხელოსნები, მოურავის სერობიანცის ხემძღვანელობით, ირჩევენ ხელოსნების უსტაბაშებს. ერთს დღეს ირჩევდნენ თურმე გ-ს ერთ-ერთ ამქრის უსტაბაშად და უკვე დაუდგეს, მაგრამ სერობიანცმა გამოაცხადა, არ შეიძლება გ-ი ამორჩეულ იქნეს უსტაბაშათო, რადგანაც იგი სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენისათვის პასუხის გებაში იყო მიცემულიო; გარდა ამისა, სერობიანცის ჩაგონებით სახელოსნო სამმართველოს ერთმა მსახურმა შეურაცხებაც მიაყენა გ-ს იმით, რომ პალტოზე თუნუქის ნაჭერი მიაკრეგია და როდესაც გარედ გამოვიდა, ხალხმა ყიჟინა ასტეხა „ჟესტ. ჟესტო“. გ-ვის საჩივარს სერობიანცზე, ცილის დაწამებისა და შეურაცხების მიყენების შესახებ, მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს მარტის თვეში.

◆ სადგურ ალაბაშლიდან იტყობინებიან, რომ 18 თებერვალს, საღამოს 8 საათზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა თოფის სროლა დაუწყო ბარაკის ღია კარებს. მუშების სადგომში მყოფი უფროსი მუშა საპარსელი მაჰმედ-ალი-ნაჯარ მოკლულია და მარჯვენა თითებში დაჭრილია მუშა გრიქულა თუნიევი.

◆ სადგურ ვარვარინოდან იტყობინებიან, რომ 166 ვერსზე უპოვნიათ პატარებლისაგან გასრესილი კონდუქტორი ილია ლომიძე, რომელიც ამ მატარებლით მიდიოდა. როგორ ჩამოვარდა მატარებლიდან ლომიძე, ჯერ არ არის გამოკვლეული.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 19 თებერვალი.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა დეპუტაციები წარუდგნენ მის უდიდებულესობას ხელმწიფე დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს, ხელმწიფე მემკვიდრეს მიხეილ ალექსანდრეს ძეს და დიდ მთავარს ალექსი ალექსანდრეს ძეს.

14 თებერვალს დეპუტაციების პატივსაცემლად დიდი სადილი გამართა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა; მოწვეულთა შორის იყო შინაგან საქმეთა მინისტრი სიპიაგინი.

18 თებერვალს დეპუტატებმა გვირგვინებით შეამკეს და პანაშვიდები გადაიხადეს განსვენებულ იმპერატორთა, დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის, ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრის ძის და დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის სულის მოსახსენებლად.

დღეს, 19 თებერვალს, ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტაცია პეტერბურგიდან მიდის კავკასიაში; მარშალი თავ. მელიქიშვილი-კი პეტერბურგში რჩება.

როდესაც დეპუტაცია წარუდგა ხელმწიფე დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს, თავ. მელიქიშვილმა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან შემდეგის სიტყვებით მიჰმართა მის უდიდებულესობას: „ნება მიბოძეთ გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან გამოგიცხადოთ ის მხურვალე გრძნობანი, რომლებითაც გამსჭვალულია თავად-აზნაურობა. თქვენო უდიდებულესობავ, თვით-მპყრობელის გვირგვინოსანო დედავ! თქვენ არა ერთხელ გაგიბედნიერებიათ ჩვენი შორეული ქვეყანა თქვენის მობრძანებით და ჩვენის ხსოვნიდან არასოდეს არ ამოიშლება ის დიდმნიშვნელოვანი წელიწადი, როდესაც ღვთივ განსვენებულმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ და თქვენ კეთილ ინებეთ და მობრძანდით ჩვენთან და დარწმუნდით შეურყეველს ერთგულებაში, რომლითაც ჰფეთქს ყოველის ქართველის გული. იმედით და სასოებით და ლოცვით ადევნებდა თვალ-ყურს ივერიის ერი ავადმყოფობას ღთივ განსვენებულის უავგუსტოეს ცესარევიჩისას, რომელმაც თავის საცხოვრებლად აირჩია ჩვენის ქვეყნის ერთი კუთხე და რომელმაც ნათელი მოგვფინა თავის ყოვლად უმოწყალესის მფარველობითა და სიყვარულით. უქვენთან ერთად, გვირგვინოსანო დედავ, ჩვენ ვცოცხლობდით რწმენითა და იმედით, რომ უავგუსტოესი ავადმყოფი განიკურნება, თქვენთან ერთად გადვიტანეთ ის მწუხარე განსაცდელიც, რომელიც უზენაესმა მოგვივლინა. თავად-აზნაურობა, რომელიც სცოცხლობდა თქვენთან ერთად იმედით, სიხარულითა და უზომო მწუხარებით და რომლის გრძნობანი გვირგვინოსან დედის გულისათვის ცხადი იყვნენ, მოგიძღვნისთ უქვეშევრდომილეს ერთგულებას“.

პრესსა

აქამდე კლასიციზმის მომხრენი ლათინურის ენის დამცველად გამოდიოდნენ იმ მოსაზრებით, რომ საექიმო მეცნიერების შესასწავლად აუცილებლად საჭიროა ლათინური ენაო. ახლა ეს მოსაზრებაც უსაფუძვლო შეიქნა, რადგან რეალისტებსაც მიეცათ ნება საექიმო აკადემიაში შესვლისა. ეს საკითხი უბრალოდ და ადვილად გადაწყდა: რეალისტებს ნება მიეცათ დამატებითი ეგზამენი დაიჭირონ ლათინურს ენაში; მათ მოეთხოვებათ მხოლოდ 4 კლასის პროგრამის ცოდნა; ამასთანავე მათ ნება აქვთ ეგზამენი დაიჭირონ აკადემიაში შესვლის ერთის წლის შემდეგაც. მართალია, ეს ახალი კანონი საცდელად იქნა შემოღებული ხუთის წლის ვადით, მაგრამ ყველასათვის ცხადიაო, სამართლიანად ამბობს „ნოვ. ვრ.“, რომ ცდა კეთილ ნაყოფს მოიტანს და დროებითი კანონი სამუდამოდ გადაიქცევაო. აკადემია კარგა ხანია დარწმუნდა იმაში, რომ საექიმო მეცნიერების შესათვისებლად ის ახალგაზდანი უფრო მომზადებულნი არიან, რომელნიც ბუნების მეტყველებას სწავლობდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ საექიმო აკადემია წინათაც რამდენჯერმე შუამდგომლობდა რეალისტების აკადემიაში მიღების შესახებ, მაგრამ უწინდელი სამინისტრო სხვარიგად უყურებდა საქმეს და აკადემიის შუამდგომლობას ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ დროება გამოიცვალა და ის, რაც ორის წლის წინად შეუძლებლად ითვლებოდა, ახლა განხორციელდა და სრულიად ადვილადაც კანონად შეიქნა.

⁂

უცხოეთის კანონმდებლობაში და სისხლის სამართლის პრაქტიკაში შემოღებულია ერთი შესანიშნავი კანონი, ეგრედ წოდებული „სათუო გასამართლება“: დამნაშავეს, რომელმაც უბედურ შემთხვევათა მეოხებით ჩაიდინა დანაშაულობა და, საზოგადოთ, დანაშაულობა შემთხვევით მოუვიდა, გაასამართლებენ, დაუნიშნავენ სასჯელს, მაგრამ ნამდვილად-კი არ დასჯიან; მას დასჯიან მხოლოდ მაშინ, თუ მეორედ ჩაიდინა დანაშაულობა. ამგვარი კანონი „სათუო გასამართლებისა“ თან-და-თან ვრცელდება უცხოეთის სახელმწიფოებში და პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მას შესანიშნავი გავლენა აქვს დანაშაულობათა შემცირებაზე. ახლა რუსეთშიაც მიაქციეს ყურადღება ამ კანონს და აღსანიშნელია ის გარემოება, რომ თვით იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ორგანო—„იუსტიციის სამინისტროს ჟურნალი“—გამოდის ამ კანონის დამცველად. ჟურნალს მოჰყავს

ის დრო იყო—ამბობს ფრანსიელი პოეტ-ასტრონომი ფლამმარიონი [12]) ამ ხანის შესახებ—, როცა დედა-მიწას სულ სხვა სახე ედო, ვინემ ეხლა. მაშინ ადამიანის ხსენებაც არ იყო მის ზედაპირზე. სად იყო დღევანდელი გონიერი ცხოვრება, რომლითაც ის გარემოცულია დღეს, ან ის მჭიდროდ დასახლებული ქალაქები, სოფლები, ხელოვნურად აგებული ბაღები, რკინის გზები, ურიცხვი ქარხნები, რაც ასე ხშირია დღეს დედამიწაზე. სად იყო ის ადამიანის დაულალავი მოღვაწეობა და შრომა, რომელსაც თითქმის ბუნების ყველა ძალები თავის სასარგებლოთ გამოუყენებია და რომელიც ყველა საიდუმლოებით მოცულ კითხვის ახსნას ლამობს. ყველაფერი ეს მერმენდელია. მაშინ-კი დედა-მიწის ზურგი მოფენილი იყო განუვალი, უზარმაზარი ტყეებით, სადაც დუმილით მიიზლაზნებოდნენ უზარმაზარი მდინარენი; ამართული იყო თვალ-აუწვდენელი მთის მწვერვალოები, მშვენიერი სალამოები, ვარსკვლოვანი ცა, რომელთა სიდიად-სიმშვენიერით არავინ იყო, რომ დამტკბარიყო. სწორეთ რომ საოცარი რამ იყო მაშინდელი დედა-მიწა! არც მეცნიერება, არც ლიტერატურა, არც ხელოვნება, არც სიტყვა, არც საქმე, არც გონება, არც აზროვნება, არც არავითარი დრამა ან კომედია ადამიანის ცხოვრებიდან არ იხსენებოდა მაზე! მტერ მოყვრობა, სიყვარული, კეთილი, ბოროტი, ალფრთოვანება, ერთგულობა და სხვა კეთილშობილური ან მდაბალი გრძნობები, ეს ყვავილები, რომელნიც დღეს კაცობრიობის ისტორიას ამშვენებენ, მაშინ ფრთა შეკვეცილი იყვნენ დედა-მიწის ზურგზე. მაშინდელ ქვეყნის მოქალაქეთ და მამულიშვილთ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამ გრძნობებზე: ისინი სრულიად უმიზნოდ ცხოვრობდნენ. ვინ იყვნენ მაშინდელი ქვეყნის მოქალაქე და მამულის შვილნი? ვინ და ვეებერთელა მასტოდონტი, ეს ვაება რამ ცხოველი, რომელიც შეუბრალებლად სთელიდა თავისი დიდრონი ფეხებით ახალ ამოსულ და გაფურჩქნულ ყვავილ-მცენარეებს; უზარმაზარი მეგატერი, რომელიც თავისი მძლავრი ხორთუმით, თუ დინგით, ძირიანად თხრიდა ვეებერთელა ხეებს. ამ დროსვე იყო რომ საშინელი ბრძოლა ჰქონდათ ერთი მეორეში ატეხილი ხვლიკისებურ უზარმაზარ ქვეწარმავალთ—პლესიოზაკრსა და იხტიოზავრს, რომელთა გულშემზარავი გრგვინვა ჰექა-ქუხილივით გაისმოდა ჰაერში. ისეთი ცხოველებიც იყვნენ მაშინ ქვეყანაზე, რომელთაც თავისუფლათ შეეძლოთ მეხუთე სართულიდან საჭმლის გადმოტანა, ამისთვის საკმაო იყო უკანა ფეხზე დადგომა...

რაც შეეხება მაშინდელ მცენარეებს, ესენიც ხომ გაცილებით უდიდესი იყვნენ ეხლანდელებზედ. მაგ., მაშინდელი გვიმბრა ეხლანდელ ალვის ხეს სჭარბობდა. აი, რა გასაშტერებელი ცხოველ-მცენარენი ყოფილა მაშინ დედამიწაზე! ეს, ერთის შეხედვით ზღაპრული, მაგრამ ნამდვილათ არსებული არსებანი, სჭარბობენ ყველა იმას, რაც ოდესმე ადამიანის ოცნებას სხვა-და-სხვა ვამპირებასა და ცენცვრებას შესახებ გამოუგონია“.

ამ ხანის შესახებ მეცნიერი შ. ბრონიარი, [13]) ამბობს, რომ მაშინდელი მწერები სისხოით 70 სანტიმეტრი იყვნენო. მისი სიტყვით, მაშინდელი კუტი კალია კარგი მოზრდილი ქათმის ხელა იყოო და ბალღინჯოები ეხლანდელ ბელურებს სჭარბობდნენო. მადლობა ღმერთს, მკითხველო, რომ ამ ბალღინჯოებმა ჩვენ დრომდის ვერ მოაღწია, თორემ, შენი მტერია, ჩვენ ისინი აგვიკლებდნენ.

სად იყო ამ დროს კაცი, ეს მომავალი მფლობელი დედა-მიწისა? ან როდის გამოატყვრინა ის ბუნებამ? არა, ჯერ შენ მითხარი, მკითხველო, სად იყო თითოეული ჩვენგანი, როცა ჩვენი დედა-მიწა ჯერ არც-კი დაბადებულიყო? „არსადო“, მგონია, მეტყვი—არა? ჰო-და არც კაცი არსებობდა ამ დროს. და განა უდედ-მამოთ შეიძლებოდა შვილი დაბადებულიყო?! ვინ არის კაცის პირვანდელი მშობელი, მისი დედ-მამა? კაცი ისე დაშორებული არაა ძუძუ-მწოველ ბანლიან-ბანჯვლიან ცხოველებიდან, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. როგორც თევზებიდან ქვე-წარმავალი განვითარდა, ქვე-წარმავალიდან—ფრინველი და ფრინველიდან—ძუძუ-მწოველი, აგრეთვე ამ უკანასკნელიდან,—ამ პირუტყვცხოველიდან, ჩვენი ძვირფასი ადამიანი განვითარდა, რომელსაც ამდენ ხანს მართლაც რომ დიდი სასწაულის ნაყოფი ეგონა თავისი თავი.

ვ. დ—მე.

(შემდეგი იქნება)

---

[12]) იხ. მისი При Свѣтѣ звѣздъ.

[13]) ეს ცნობა გეტჩისონის გეოლოგიიდან არის ამოღებული.

სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გავრცელდა ეს კანონი უცხოეთში და ამბობს, რომ არაფითარი დაბრკოლება არ არსებობს, რათა „სათუო „გასამართლება“ რუსეთის კანონმდებლობაშიაც შემოიღონ.

> მართალია, სწერს ჟურნალ , ჩვენი კრიმინალისტები წინააღმდეგნი არიან ხსენებულის კანონისა, მაგრამ მათ თეორეტიულ მოსაზრებათ არავითარი საფუძვლიანობა არ ეტყობა. იმგვარივე მოსაზრებანი უცხო სახელმწიფოთა მეცნიერებსაც მოჰყავდათ, მაგრამ ცხოვრებამ და ახლა მეცნიერებამაც სრულიად გაამტყუნა ისინი. უფრო ნაკლებ საბუთიანია ჩვენის მეცნიერების პრაქტიკული მოსაზრებანი და ამიტომ სრულიად გაუგებარია, რატომ აგვიანებენ კანონის შემოღებას რუსეთშიაც?! რაც უფრო მალე განახორციელებენ ამ გამოცდილს საშუალებას, მით უფრო სასარგებლო იქნება იგი როგორც დამნაშავეთათვის, ისე მთელის საზოგადოებისათვისაც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რა-კი ასეთი ავტორიტეტული დამცველები და მომხრეები აღმოუჩნდნენ სასარგებლო კანონს, იგი რუსეთშიაც მალე იქნება შემოღებული.

რუსეთის ქრონიკა

∝ პეტერბურგში ამ დღეებში შესდგა ახალის საქველ-მოქმედო საზოგადოების დამწესებელთა კრება. ამ საზოგადოებას მიზნადა აქვს—ერთ ხანობით დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე თავის წევრებს, რომლებიც ქორწილს აპირებენ; წევრებად მიიღებიან ორივე სქესის პირნი, არა ნაკლებ 17 წლისა. საზოგადოებაში ჩასაწერად საჭიროა წერილობითი განცხადება ან დამწესებელ წევრთა წარდგენა; შესატანი გარდასახადი პირველად 4 მანეთია დადგენილი, აქედან 3 მან. ყოველ წლიური შესატანი და ერთი მანეთი დახმარების აღმოსაჩენად მექორწინეთათვის. ყოველ წევრს, რომელიც ქორწინდება, თითო მანეთი ეძლევა ყველა დანარჩენ წევრებისაგან; ამასთანავე თუ კასის წევრი ირთავს კასისავე წევრს, მზითევი ორივეს ცალ-ცალკე ეძლევა. საზოგადოებაში ამ ჟამად ასი წევრია. უკანასკნელ სხდომაზე გამოაშკარავდა, რომ მსურველთა რიცხვი ბევრით აღემატება ას კაცს და ამიტომ საზოგადოება იწყებს თავის საქმეს. („მ. ვ.“.)

∝ „პეტერბურგსკი ვედომ.“-ს სიტყვით, 15 თებერვალს სახელმწიფო საბჭო შეუდგა სამხატვრო და სამრეწველო სწავლის წესდების პროექტის განხილვას.

∝ იუსტიციის სამინისტროში ამ ჟამად ადგენენ ახალს კანონებს კერძო მფლობელთა მიწების სახელმწიფო ან საზოგადო საჭიროებათათვის სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ; ამასთანავე შემუშავებული იქნება ახალი წესები იმ კერძო პირთა დაჯილდოვების შესახებ, რომელთა მიწებს სახელმწიფო გამოისყიდის.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 თებერვალი

პეტერბურგი. 18 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, გარდაცვალებულ სტატს-დამას კნეინა ბარიათინსკაიას პირველი პანაშვიდი გადაუხადეს. პანაშვიდზე ბრძანდებოდნენ მათი უდიდებულესობანი. ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულისაგან გვირგვინი დაადეს ცხედარს.

19 თებერვალს ბუხარის ემირი თავის მემკვიდრით პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში იყო. ემირმა და იმისმა შვილმა პატივი სცეს იმპერატორის ალექსანდრე მესამის საფლავს.

19 თებერვალს, ნაშუადღევის სამს საათზე იმპერატორის სასახლის მინისტრმა ბუხარის ემირს გარდასცა წმ. ვლადიმირის 1-ლის ხარისხის ორდენი, რომელიც მას იმპერატორმა უბოძა, და გენერალ-ადიუტანტის აქსელბანტები; შემდეგ მინისტრმა გადასცა მათ უდიდებულესობათა საჩუქრები ემირს, იმის მემკვიდრეს და ამალას.

ნაშუადღევის 4 საათზე მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს სასახლის საჯინიბო უწყების მანეჟი, სადაც დახვდათ ბუხარის ემირი და იმისი მემკვიდრე. მანეჟში მათ უდიდებულესობათ ნახეს ემირისგან საჩუქრად მოყვანილი ცხენები. მეხუთე საათზე მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ საზამთრო სასახლეში, სადაც ემირმა დაათვალიერა მათ უდიდებულესობათაგან ნაბოძები საჩუქრები; საჩუქრებთა შორის იყო მთელი მოწყობილება საკრავი იარაღისა და სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთები.

19 თებერვალს შეიპყრეს ყალბი ფულის გამკეთებელთა ბრბო. ბრბო თურმე წვრილ ვერცხლის ფულს აკეთებდა.

აღმოაჩინეს დამნაშავე, რომელმაც ვესტენჰაუზის და კომპანიის საზოგადოების სამმართველოდან მოპარულის დუბლიკატებით ნიკოლოზის რკინის გზაზე მიიღო ორი ვაგონი თუჯი; დამნაშავე სტატსკი სოვეტნიკის ტ. შვილი აღმოჩნდა.

„კანონთა კრებულში“ გამოქვეყნებულია ახალი ინსტრუქცია პოლიციელთათვის, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ სასმელებით სწორე ვაჭრობას იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია სასმელების სახელმწიფო გასყიდვის დებულება.

ნოვოჩერკასკი. დონის მხარეს წინად მიცემული ჰქონდა თესლების შესაძენად და საქონლის გამოსაკვებად 54 ათასი მანეთი; ეხლა კიდევ მიეცა იმავე საჭიროებისათვის 89 ათასი მანეთი.

კოვნო. გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რომლით ქუჩებში და მოედნებზე მაგარი სასმელების სმა აღკრძალული იქნება.

სევასტოპოლი. საკრედიტო საზოგადოების საგანგებო კრების უკანასკნელი სხდომა შესდგა. გამგეობის წევრი და კასირი სამართალს მისცეს.

მოსკოვი. გლეხების განთავისუფლების წლის თავის გამო, ჩუდოვის მონასტერიდან ალექსანდრე მე-II ძეგლთან ლიტანიით მივიდნენ. კრემლში რამდენიმე ათასმა მუშამ თავი შეიყარა და ორი გვირგვინი მიიტანა ძეგლთან—ვერცხლისა და ცოცხალის ყვავილებისა.

—ფერეინის სააფთიაქო საწყობი იწვის.

ვარშავა. მექარხნეთა წრეს განზრახვა აქვს გასატან საქონლის სავაჭრო კანტორა გაიხსნას იმ გვარად, როგორიც პრაგაში და ბოჰემიაში არის ბაზრების მდგომარეობის შესახებ ცნობების შესაკრებად.

როსტოვი. მდინარე დონი აიხსნა; ვეებერთელა ნაჭრები ყინულისა მძიმედ მოდის ზემოდან.

ასტრახანი. ეკკლესია გაჰქურდეს; ქურდი გუმბათიდან თოკით ძირს ჩაშვებულა.—სოლინებმა 10 ათასი მანეთის ვექსილები შესწირეს გიმნაზიას.

ლონდონი. გაზ. „სტანდარდ“-ს კლერკსდორფიდან ატყობინებენ, რომ ლონდონიდან მომავალი ინგლისელების ჯარი, რომელიც ბურებმა დაატყვევეს, 680 კაცისაგან შესდგებოდა, ოთხი ზარბაზანიც ჰქონდათ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე „მოსკოვსკი ლისტოკ“-ის რედაქტორის ალექსი პასტუხოვისა, რომელმაც ცხრა წლის გლეხის ბიჭი დასჭრა რევოლვერით თევზაობის დროს. სასამართლომ პასტუხოვს ორის კვირით ციხეში ჩაჯდომა მიუსაჯა.

პეტერბურგი. სევასტოპოლის გრადონაჩალნიკი კონტრ-ადმირალი ფელოსიევი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა ვიცე-ადმირალის ჩინით. გრადონაჩალნიკად დანიშნულია გენერალ-მაიორი ხვოსტოვი.

ტიუმენი. მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ ტობოლსკში დაადგინა დაარსდეს გლეხებისათვის დასახმარებელი თანხა, რომ პირველ ხელიდანვე შეიძლონ სამეურნეო იარაღების ჰყიდვა. დაადგინეს აგრეთვე ყოველ წლიწადს გაიმართოს ხორბალის თესლების გამოფენა და ვიშუამდგომლოთ რკინის გზის ზოგ სადგურზე ელევატორი გაიმართოს მარცვლის დასაწმენდ მანქანებითა.

20 თებერვალი.

პეტერბურგი. ბუხარის ემირი დაინიშნა მისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტად.

დასავლეთ-ციმბირის მესამე მსროლელ ბატალიონს, რომელსაც ასი წლიწადი შესრულდა, ხელმწიფე-იმპერატორმა უბოძა ახალი დროშა ზედ წარწერით „1802—1902“.

„პეტერბურგსკი ვედომოსტები“-ს ცალკე გაყიდვა აღიკრძალა სამის თვის განმავლობაში.

ჰამბურგი. ოთხიდან ათ-სექტემბრამდე მოწვეული იქნება მეცამეტე სახალხთა-შორისო კონგრესი ორიენტალისტებისა.

პეტერბურგი. 19 თებერვალს ისაკის სობოროში გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად.

კრონშტადტიდან, კალუგიდან, სიზრანიდან და ჩერნიგოვიდან იტყობინებიან, რომ პანაშვიდი გარდაუხადეს იმპერატორს ალექსანდრე მეორეს გლეხთა განთავისუფლების დღეს.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის მხრის სასწავლებლების დირექტორთა და ინსპექტორთა კრება დაიწყო. განათლების ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია ახლად 317,000 მანეთი.

სევასტოპოლი. კურმამას ახლო ქემილხი მეტერლუკმა მოჰკლა მამა, დედა და ძმა.

მოსკოვი. თევზის მრეწველობის კონგრესის წევრები პეტერბურგში წავიდნენ.

ფერეინის ლაბორატორიის საწყობში ცეცხლი გაჩნდა მუშის დაუდევრობით. დაჭრილები არიან სამი ცეცხლის მქრობელი და ერთი მუშა; ლაბორატორიაში შუშებია ჩამტვრეული და ჩარჩოები გამოგლეჯილი; ათი აფეთქება მოხდა.

სიმფეროპოლი. უფასო პროფესიონალურ სკოლის აქტი შესდგა; ეს სკოლა ინახება ანნა ალექსანდრეს ასულის მაშკოვცევისაგან. გამოფენილი იყო შეგირდების მშვენიერი ნამუშავარი. ამ სკოლაზე იმისმა დამაარსებელმა დახარჯა ოცი ათას-მანეთზე მეტი.

ხარკოვი. საკათედრო ტაძარში, უნივერსიტეტის ეკკლესიაში და ქალაქის სხვა ტაძრებში წირვის შემდეგ გარდაიხადეს იმპერატორის ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი. სახალხო სკოლებში აუხსნეს ამ დღის მნიშვნელობა.

ლონდონი. გაზეთები იტყობინებიან, რომ დევეტი ხელში დაიჭირა, როდესაც ახალ-ზელანდიელებს დაეცა 10 თებერვალს.

ირბიტი. შემახიელთათვის გამართულმა კონცერტმა შვიდასს მანეთზე მეტი შემოიტანა.

ბიისკი. საქველ-მოქმედო საზოგადოებამ გახსნა სახლი, რომელსაც უწოდა „საქველ-მოქმედო საზოგადოება“, რომელიც თავის დროზე იქნება შრომის მოყვარეობის სახლად.

ტომსკი. საბჭომ მუქთად დაუთმო რკინის გზის სამმართველოს ოთხი დესეტინა ადგილი ტომის ნაპირზე, რათა გამართონ საზაფხულო სანატორია შეუძლებელ მოსამსახურეთათვის.

პეკინი. საფრანგეთის საელჩოს ატყობინებენ, რომ ტონკინის საზღვარს ახლო აჯანყებულებს მოუკლავთ საფრანგეთის ოფიცერი.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 25 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლით გაიცემა იჯარით ბეტონის უსუფთაო მილის გაკეთება (45,00 საჟ. სიგრძისა და 0,375 × 0,25 საჟ. სიგანისა) აწ არსებულ მილიდან სერებრ. რიადის და ფომინოი ქუჩის კუთხეზე ბაზიეროვის სახლამდე ბოლშოი გრიაზნოი ქუჩაზე; სამუშაოს ღირებულება 1000 მანათია.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობა შეუძლია განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

ზიზ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

გვრის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**

ტელეფონი № 754. (წ.).

ახალი წიგნი

საქართველოს წმიდანები

შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის
გ. იოსელიანის-მიერ

მოწონებულია საქართველოს საეპარქიო სასწავლებლის რჩევისაგან.

იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. (10—10)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წლიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 10 მ.	1 წლით . . 13 მ.
6 თვით . . 6 „	6 თვით . . 7 „
3 „ . . 3 „	3 „ . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წლიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით . . 6 მ.	1 წლით . . 9 მ.
6 თვით . . 4 „	6 თვით . . 7 „
1 „ . . 75 კ.	1 „ . . 90 „

ვინც **„მოამბე“**-ს მთელის წლით გამოიწერს, **„ცნობის ფურცელი“** სურათებიანი **დამატებით** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ „Цнобисъ-Пурцели.“**

ფაბრიკის ნიშანი



Заявленъ отдѣлу промышленности

ფაბრიკის ნიშანი

გაფრთხილება

თამბაქოს ფაბრიკისაგან **ნ. ი. ბოზარჯიანცისა** შვილებითურთ ტფილისში. ამ ბოლო ხანს გამოვიდა გასასყიდათ ისეთი

პაპიროსები,

რომლებიც გარეგანი შეხედულობით ძრიელ წაავავს ჩვენის ფირმისას, აწყვია ისეთივე ზომის კოლოფებში, ისეთივე ზედ-წარწერით ანუ შრიფტით და იმავე ფერის იარლიკით, რომელიც დიდი ხანია შემოღებული აქვს ჩვენს ფირმას და დიდათ გავრცელებული არის.

ყოველივე შეცდომის ასაშორებლად,

ჩვენ საჭიროდ ვსცანით და დავადგინეთ ჩვენსავე ეტიკეტზე განსაკუთრებითი ნიშანი, რომელიც ნება-დართულია უმაღლესი მთავრობისაგან; **და ვინც ჩვენის ფაბრიკის მგვანს ნიშანს გამოსცემს, ისინი დაისჯებიან კანონის ძალით.** ვსთხოვთ ჩვენი ფირმის პაპიროსების მხმარებელთ, განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და ზედ წარწერას

Н. И. БОЗАРДЖІАНЦЪ С-МИ. (5—247—4)

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Февраля 1902 года.

ელექტრონით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.